

## პროგრამის შინაარსი

### რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური), რიტმი (ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობები, პაუზა), ხმოვანების სიძლიერე (დინამიური ნიუანსები), რიტმი, ტემპი (ჩქარი-ნელი), კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

### სიმღერა:

- სიმღერა თანხლებით;
- ერთხმიანი სიმღერები ხალხური, საბავშვო და კლასიკური რეპერტუარიდან, მაგალითად, "ლაზარე", "სალამი, ჩიტუნებო", "იავნანა", "მახსოვს პირველად", "ეს აკვანი ხარატული"; მ. დავითაშვილი – "მანანას სიმღერა", გ. ცაბაძე – "ანა-ბანა", კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები"; ლ. იაშვილი – "კომში, კომში, კომარა", მ. ოთიაშვილი – "ნოე ბაბუს კიდობანი", "ჟუჟუნა წვიმა", "ჭრელო პეპელა"; ლ. ბეთჰოვენი – "ზაზუნა", რ. როჯერსი – "Do, Re, Mi"; "Alphabet", სომხური საბავშვო სიმღერა "Kerin Yekav Mer Baky" და სხვ.

### განწყობილების გადმოცემა:

- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით, ცეკვით, თამაშით;
- ეტიუდების შესრულება.

### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა;
- დინამიური ნიუანსები: Forte - ხმამაღლა, Piano - ხმადაბლა;
- კომპოზიტორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

### მუშაობის ფორმები:

- ინდივიდუალური და ჯგუფური.

### ხმის წარმოქმნის წყარო:

- ბუნება, ქუჩა, საკონცერტო დარბაზი, სახლი.

## ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი;
- საჯარო კონცერტი, წარმოდგენა.

## მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია მუსიკალური ნაწარმოების შესახებ: ტექსტი, სიუჟეტი, ავტორი;
- შემოქმედებითი პროფესიების გაცნობა: მხატვარი, კომპოზიტორი, პოეტი და სხვ.

## საკრავები:

- ფანდური, ჩონგური, დიპლიპიტო; არფა, ჩელო, გიტარა, ლიტავრები, საყვირი.

## მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები ქართული და უცხოური ნაწარმოებებიდან, საბავშვო მუსიკალური პროგრამული პიესები, სახასიათო ფრაგმენტები ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "ბატონებო", "სისა, ტურა", "შინა ვორგილ"; საგალობელი "შენ ხარ ვენახი", მიკის თეოდორაკის - "სირტაკი"; ზ. ფალიაშვილი - "ცანგალა და გოგონა" ოპერიდან "დაისი"; ვ. დოლიძე - ცეკვა "ქართული", სიკოს და საქოს კუპლეტები ოპერიდან "ქეთო და კოტე"; ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატიურა - "სოფლოური ცეკვა"/"მწყემსური"/"ცოლი გამიდიდგულდა"; გ. ცაბაძე - "ოცდახუთსა დეკემბერსა" კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები"; ი.ს. ბახი - მენუეტი რე მინორი "ანა მაგდალინას რვეულიდან"; ვ.ა. მოცარტი - "ღამის პატარა სერენადა", I ნაწილი; ლ. ბეთჰოვენი - "ელიზესადმი", საფორტეპიანო მინიატიურა; ფ. შუბერტი - სიმღერა "კალმახი"; ე. გრიგი - "ანიტრას ცეკვა" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; რ. შუმანი - "მამაცი მხედარი"; ი. ბრამსი - "უნგრული ცეკვა" # 5; კ. სენ-სანსი - "აკვარიუმი" ციკლიდან "ცხოველების კარნავალი"; პ. ჩაიკოვსკი - "ყვავილების ვალსი", "ტრეპაკი", "ნეაპოლური სიმღერა" საყვირის სოლოთი ბალეტიდან "მაკნატუნა"; ს. პროკოფიევი - გავოტი "კლასიკური სიმფონიიდან", III ნაწილი; კ. ჯოპლინი - "Maple leaf rag", რ. როჯერსი - მიუზიკლი "მუსიკის ჰანგები" და სხვ.